კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #2

2016 წლის თებერვალი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 01 – 27 თებერვალი - მიღწეული შედეგები:

ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა - ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მთავარი ამოცანა

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების საქმიანობაში უმთავრეს ამოცანად რჩება ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა, ეფექტური მექნიზმების შემუშავება მათ დასახმარებლად. ქართული ტრადიციებიდან და სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული სირთულეები. ქალები ერიდებიან საკუთარი ამბის გამოაშკარავებას, წლობით ცხოვრობენ კონფლიქტურ სიტუაციაში, აქვთ სერიოზული პრობლემები ოჯახში და არც კი ცდილობენ მდგომარეობის შეცვლას უკეთესობისკენ. ამ დროს ცენტრის მობილიზატორები განსაკუთრებული სიფრთხილით იწყებენ მსხვერპლთან თანამშრომლობას, აწვდიან მათ ინფორმაციას, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები, ისე რომ არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი. ერთნაირი სიტუაციაა თითქმის ყველა ქალაქში.

ფოთში ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართა ქალბატონმა მერიმ, რომელმაც მობილიზატორს უამბო თავისი მეგობრის ისტორია და სთხოვა, რაღაცით დახმარებოდნენ მას. როგორც გაირკვა, ის ძალადობის მსხვერპლია. რამდენიმე თვე თურქეთში იყო წასული სამუშაოდ. როცა დაბრუნდა, მეუღლესთან კონფლიქტი მოუვიდა. ნაცემი და თვალებდალურჯებული ნათესავებთან გაიქცა. ახლაც იქ არის. მეუღლემ ბავშვები მის წინააღმდეგ განაწყო, ამიტომ დედას არ ეკარებიან. დედა ამას ძალიან განიცდის და ვერ გარკვეულა როგორ მოიქცეს. ცენტრის მობილიზატორი იურისტთან ერთად შეხვდა ქალბატონს. მიეცა კონსულტაცია, როგორ დაიცვას საკუთარი უფლებები, როგორ დაიბრუნოს შვილები. განემარტა, რომ შეუძლია მიიღოს ძალადობის სტატუსი და მოხვდეს დროებით თავშესაფარში. ამ ეტაპზე თავს იკავებს, თუმცა ამბობს, რომ ცენტრთან თანამშრომლობას გააგრძელებს და ფსიქოლოგთანაც გაივლის კონსულტაციას.

განცხადებები, წერილები სხვადასხვა სამსახურში - მოქალაქეთა პრობლემების მოგვარება

ხშირად კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად მოქალაქეებმა არ იციან, როგორ მოიქცნენ, ვის მიმართონ. ასეთ დროს მობილიზატორები აქტიურად ერთვებიან საქმეში და აძლევენ მიმართულებას, ერთად ამზადებენ წერილებს.

ქუთაისში ერთ-ერთ სამობილიზაციო შეხვედრაზე, ყოფილი კოოპერატიული ტექნიკუმის შენობაში მცხოვრებმა დევნილებმა საკუთარ პრობლემაზე ისაუბრეს. როგორც გაირკვა, შენობის სარდაფში დგება წყალი, საშინელი სუნი ტრიალებს, არავინ იღებს ინიციატივას პრობლემის მოსაგვარებლად. მობილიზატორმა შესთავაზა მათ ხელმოწერების შეგროვება, რათა განცხადებით მიმართონ მერიას. ამ საკითხთან დაკავშირებით სკეპტიკური დამოკიდებულება შეიმჩნეოდა, მერია რას გვიზამს, არავინ არაფერს გაგვიკეთებსო და ასე შემდეგ, მაგრამ მობილიზატორმა განუმარტა, რომ მათი აქტიურობის გარეშე არავინ მოაკითხავდა. განცხადება შეიტანეს მერიაში და ელოდებიან პასუხს.

წყალტუბოს ახალ რაიონში მცხოვრებმა დევნილებმა ქალთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართეს. დასახლების წინა მაგისტრალი საშიში გახდა, რადგან გახშირდა ავტოავარიის შემთხვევები. მოსახლეობა ითხოვს, განლაგდეს „მწოლიარე პოლიციელი“, რადგან ამ მონაკვეთთან ახლოს ხშირად თამაშობენ სხვადასხვა ასაკის ბავშვები. წერილი უკვე გაიგზავნა და პასუხის შესაბამისად იმოქმედებენ.

წყალტუბოში ერთ-ერთ მოქალაქეს რამდენიმე თვის წინ მოუხსნეს სოციალური დახმარება. ცენტრის მობილიზატორთან ერთად მომზადდა წერილი და სოციალურ სააგენტოში გაიგზავნა. რამდენიმე დღეში მოვიდა სოციალური აგენტი და ფორმა ხელახლა შეავსეს.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები და მოგვარებული პრობლემები

პრობლემების მოგვარებაში აქტიურად ერთვებიან იურისტები.

გასულ თვეს **ფოთში** იურისტს დახმარება სთხოვა ქალბატონმა. მისი შვილი ავღანეთში მსახურობდა და არ გადაერიცხა ბოლო თვის ხელფასი. ამ საკითხზე ინფორმაცია წინა თვის ბიულეტენში დაიბეჭდა. ქალბატონმა ცენტრის იურისტთან კონსულტაციის შემდეგ გაარკვია, სად მივიდეს პრობლემის მოსაგვარებლად. მომზადდა წერილი და გადაეგზავნა შესაბამის სამინისტროს. უკვე მოვიდა პასუხი, სადაც წერია, რომ სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა საკითხი, პრობლემა გარკვეულია და ჯარისკაცი სამი თვის ხელფასს ერთად აიღებს.

ხონში ბენეფიციარს ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები აინტერესებდა, რას ნიშნავს შემაკავებელი და დამცავი ორდერი, რა შემთხვევაში ენიჭება დაზარალებულს მსხერპლის სტატუსი. მან აღნიშნა, რომ მიღებული ინფორმაციის შემდეგ კარგად არის შეიარაღებული თავის დასაცავად. რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონმა ინფორმაცია მიაწოდა მეუღლეს და უთხრა, რომ თუ მისგან ძალადობის მცდელობა კიდევ იქნება, ის აუცილებლად დაუკავშირდება პატრულს და გამოიყენებს ყველა უფლებას, რომელსაც სამართალი ითვალისწინებს მსხვერპლის მიმართ. მას შემდეგ ძალადობის მცდელობა არ ყოფილა.

წყალტუბოში იურისტს დახმარება სთხოვა მოქალაქე შორენა გ-მ. დიდი ხანია კონფლიქტი აქვს მეუღლესთან. ქორწინების პერიოდში ერთად აქვთ მიღებული ბინა. ქმარი ემუქრება, რომ განქორწინების შემთხვევაში ბინას ვერ მიიღებს. ქალბატონს განემარტა, რომ კანონიერად ის მიიღებს ბინიდან საკუთარ წილს. ის გადამისამართდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, ყველა დოკუმენტი

მომზადდა და ახლა სასამართლოსთვის ემზადება, რათა საკუთარი წილი მიიღოს და ცალკე ცხოვრება შეძლოს. ქალბატონს ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დედასთან იცხოვრებს.

ფოთში იურისტს დახმარებისათვის მიმართა ქალბატონმა. მისი განმარტებით, მეუღლეს აქვს ცუდი სიმთვრალე და ყოველი მისი დალევა ცოლის ცემით მთავრდება. მას საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს განქორწინება და იურისტისგან მიიღო განმარტება, რა სახის დოკუმენტებია საჭირო ამ პროცედურის დასაწყებად. იურისტის დახმარებით ყველა საბუთი მზად არის და განქორწინებაც იურიდიულად გაფორმდება.

სენაკში იურისტს დახმარება სთხოვა ქალბატონმა. მეუღლესთან არაოფიციალურად გაშორებულია და უნდა, შვილებს დაუნიშნოს ალიმენტი, რადგან მას უკვე მეორე ცოლი ჰყავს. ეს ინფორმაცია გასულ თვეს დაფიქსირდა. ყველა პროცედურის მოგვარება იმ დღესვე დაიწყო. იურისტმა ყველა საჭირო დოკუმენტი მოამზადა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვებს 200-ლარიანი ალიმენტი დაენიშნა.

ქუთაისში იურისტთან კონსულტაცია გაიარა სკოლის მოსწავლემ. ის თვლის, რომ მასწავლებელი მასზე ზეწოლას ახდენს, კლასიდან აგდებს და ძალადობს. ითხოვდა გარკვევას, როგორ მოახერხოს თავის დაცვა. მან მიიღო ინფორმაცია, რომ როცა ადგილი აქვს მოსწავლეზე ძალადობას, აუცილებელია პროცესში ჩაერთოს სკოლის დირექტორი, მშობლები, რათა ეს პრობლემა განიხილონ, ერთად შეისწავლონ მიზეზები და გამონახონ მექანიზმები ბავშვის დასახმარებლად.

ქალთა მხარდაჭერის ექვსივე ცენტრში გაიმართა თითო საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა. ამის გარდა, ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის იურისტმა თებერვალში ჩაატარა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ქუთაისის დევნილთა 12 კოლექტიურ ცენტრში.

სხვადასხვა საკითხის ადვოკატირება

ქუთაისში ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, რომელიც ძალადობის მსხვერპლია, ქუთაისის თავშესაფრის იურისტთან ერთად ფონდი „სოხუმის“ იურისტს დახმარებისთვის მიმართა, რათა მიეღო მსხვერპლის სტატუსი, რაც მას თავშესაფარში დარჩენის და სარეაბილიტაციო კურსის გაგრძელების საშუალებას მისცემდა. მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტი და გადაეგზავნა მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელ კომისიას თბილისში. 17 თებერვალს ჩატარდა სხდომა, ქალბატონს მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი, მას უკვე შეუძლია თავშესაფარში იცხოვროს და გააგრძელოს ფსიქორეაბილიტაცია.

ქუთაისში იურისტს კონსულტაციისთვის მიმართა ქალბატონმა გ-მ. მას აინტერესებდა შვილის სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხი, რადგან ოჯახი სოციალურად დაუცველია. ბენეფიციარს განემარტა საკანონმდებლო ცვლილების არსი, რომ სწავლის დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, მისი შვილი კი კერძო უნივერსიტეტში სწავლობს, ამიტომ ვერ ისარგებლებს აღნიშნული პრივილეგიით.

სოფელ კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში, უმძიმეს სიტუაციაში ცხოვრობს სოციალურად დაუცველი ოჯახი. არა აქვს შუქი, წყალი და მოეხსნა სოციალური დახმარება. წერილი დაიწერა სოციალურ სამსახურში, გამოაგზავნეს სოციალური აგენტი, ხელახლა შეავსეს ანკეტა და პასუხის მოლოდინში არიან. მობილიზატორმა ამ პროცესში ადგილობრივი მთავრობა ჩარია, დაიწერა განცხადება დახმარების მოთხოვნით და მას გამგეობიდან ერთჯერადი დახმარებით დააკმაყოფილებენ.

წყალტუბოში სანატორიუმები „მედეა“ და „თბილისი“ ავარიულია. სახურავიდან წყალი ჩამოდის, ნესტი შენობის კედლებს ანგრევს და დევნილები უმძიმეს პირობებში ცხოვრობენ. მობილიზატორებმა რამდენიმე წერილი დაწერეს აფხაზეთის მთავრობის, შემდეგ დევნილთა სამინისტროს სახელზე, უკვე მოხდა წერილზე რეაგირება და დევნილებს აცნობეს, რომ ორივე შენობა გადაიხურება.
წყალტუბოში დევნილთა დასახლებაში გამოჩნდა მაწანწალა ძაღლი, რომელმაც 12 წლის გოგონა დაკბინა. ძაღლი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას ჩნდებოდა, რაც მოსახლეობის შეშფოთებას იწვევდა. ბავშვებს შიშით ეზოში ვერ უშვებდნენ სათამაშოდ. მობილიზატორმა დარეკა 112-ში. იმ დღესვე მოვიდა სპეციალური ბრიგადა, ძაღლი დაიჭირეს და გადაიყვანეს უპატრონო ცხოველების თავშესაფარში.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა მოქალაქეთა ინფორმირებისა და პრობლემათა ადვოკატირების მიზნით

პრობლემათა ადვოკატირება, ბენეფიციარების ინფორმირება ადგილობრივ დონეზე არსებული სერვისების თაობაზე განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის. ამ მიზნით ცენტრის მობილიზტორები აგრძელებენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობებთან, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბენეფიციარების ინფორმირების დონე.
შეხვედრების შემდეგ მიღებული ინფორმაციები გავრცელდა სამობილიზაციო შეხვედრებზე. მოქალაქეებს მიეწოდათ ინფორმაციები, როგორია ახალი ბიუჯეტი, რას ითვალისწინებს სოციალური პაკეტები, რომელიც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია. რა ტიპის დახმარებები შეუძლიათ მიიღონ ერთჯერადად.
აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბენეფიციარებისათვის: ინფორმაციით მრავალშვილიან დედებზე, მეოთხე შვილზე ერთჯერადი დახმარების შესახებ უკვე დაინტერესდნენ **ქუთაისში, სენაკში,** რომლებმაც წერილობით მიმართეს მერიას და გამგეობას ამ დახმარების მისაღებად.

ფსიქოლოგის შეხვედრები, კონსულტაციები და მიღებული შედეგები

ქუთაისის, ხურჩის, სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში გაიმართა ჯგუფური და ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაციები. შეხვედრების ძირითადი თემა იყო გამოუვალი მდგომარეობა და მისგან გამოსავალის ძიება ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით.
სუიციდის რისკი ძალადობრივ გარემოში, სუიციდის პრევენცია - ამ თემას მიეძღვნა ფსიქოლოგის კონსულტაციები **ფოთის, ხონის და წყალტუბოს** ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში.
ხურჩაში რძალ-დედამთილს შორის იყო კონფლიქტი, ფსიქოლოგთან ორივემ ისაუბრა. შემდეგ საერთო შეხვედრებს ერთად დაესწრნენ. შეხვედრაზე ორივე გაიხსნა, სხვებთან ერთად გააანალიზეს სიტუაცია, ამ ამბავს იუმორით შეხედეს და სიტუაცია დადებითად განიმუხტა.
ქუთაისში ერთ-ერთ შეხვედრაზე დედა-შვილი იმყოფებოდა. ქალბატონი აღნიშნავს, რომ თვითონ აქვს სერიოზული პრობლემები. ბიჭი არის 12 წლის. არ გამოირჩევა აქტიურობით. როგორც გაირკვა, დედა მასზე ზეწოლას ახდენს: შენ ყველაზე უარესი ხარ, სწავლა არ შეგიძლია, არაფერი შეგიძლია, ასეთი ვის დაემგვანე. ბავშვი ჩაიკეტა საკუთარ თავში, არ გააჩნია პროტესტის გრძნობა, ვერ იღებს გადაწყვეტილებას დედის გარეშე, ელემენტარულ საკითხებშიც კი. მათთან ცალ-ცალკე მოხდა გასაუბრება, დედას მიეცა რჩევები, რომ ბავშვს მეტი თავისუფლება მისცეს, რათა მან დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკითხები. ბავშვთან მუშაობა ურო რთული

აღმოჩნდა. მას რამდენიმე სეანსი დასჭირდა. დედა-შვილი აგრძელებს კონსულტაციებს, რადგან მათ ურთიერთობაში ცვლილებები უკეთესობისკენ მიდის - ბიჭუნამ ისწავლა, როგორ გამოხატოს პროტესტი, დარწმუნდა, რომ ნორმალური ბავშვია, უფრო ლაღი გახდა. უკეთესობისკენ შეიცვალა დედაც.

ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი

ძალადობის მონიტორინგი ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, თუმცა დღემდე პრობლემაა ფაქტების გამოაშკარავება, უფრო ხშირად - ჭირს თანამშრომლობის გაგრძელება ძალადობის მსხვერპლთან, რადგან უმრავლესობას ურჩევნია, საკუთარი ოჯახის პრობლემა გარეთ არ გაიტანოს.
თვის განმავლობაში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 8 ანკეტა. მათგან 3 მზად არის, ითანამშრომლოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრთან და ფსიქოლოგის კონსულტაციები გაიარა. ერთმა იურისტთან ისაუბრა და მიიღო მისთვის საჭირო ინფორმაცია, ვის შეიძლება მიმართოს და სთხოვოს დახმარება. მაგრამ ამ ეტაპზე არ არის მზად, რამე შეცვალოს თავის ცხოვრებაში. დანარჩენებთან მიმდინარეობს მუშაობა, ცენტრის მობილიზატორები მათთან ისევ გააგრძელებენ დიალოგს.

ახალგაზრდული კლუბები, ინიციატივები, დამატებითი აქტივობები

რას ნიშნავს ტოლერანტობა და ვახერხებთ თუ არა ვიყოთ ტოლერანტულები - ამ საკითხებზე გაიმართა ახალგაზრდული კლუბების საინფორმაციო შეხვედრები. თემა ექვსივე რეგიონის ახალგაზრდებისთვის აქტუალური აღმოჩნდა. შეხვედრებზევე გამოიკვეთა კონკრეტული ინიციატივები.
წყალტუბოს ახალგაზრდული კლუბის საინიციატივო ჯგუფმა სოფელ ქვიტირში ბულინგის თემაზე ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ახალგაზრდებთან ერთად მათი მშობლებიც დაესწრნენ. გამოიკვეთა, რომ მსგავსი პრობლემები არსებობს სკოლებში და ასეთი საუბრები ახალგაზრდებისთვის ეფექტურია, რადგან ხშირად მსგავსი საქციელი გაუცნობიერებლადაც ხდება.
ფოთის მე-7 სკოლაში დისკუსია გაგრძელდება სამოქალაქო გაკვეთილზე, რადგან დაინტერესება საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა.
სენაკის მე-7 სკოლაში მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, ამ თემაზე მოაწყონ წერითი კონკურსი, „რამდენად ტოლერანტული ვარ“. საუკეთესო ნაშრომი სკოლის საპატიო დაფაზე გამოაქვეყნონ, რათა სხვებისთვის გახდეს ნათელი მაგალითი, როგორი უნდა იყოს ტოლერანტი ადამიანი.
წყალტუბოში, სენაკსა და ფოთში ახალგაზრდებთან ჩატარდა ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში. შეხვედრების თემა იყო: მოლაპარაკება და ფასილიტაცია, როგორც კონფლიქტების მართვის სტრატეგია.
საკითხის უკეთ აღსაქმელად და გასაცნობიერებლად გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდი - მაგალითად, იმიტირებული ოჯახური კონფლიქტის სცენა, როლური თამაშებით მოლაპარაკებათა პროცესის წარმოება და შემდეგ ანალიზი. ახალგაზრდების შეფასებით, ეს მეთოდები ძალიან ეფექტური იყო, რადგან უფრო ადვილი გახდა იმ შეცდომების და პლიუსების დანახვა, რაც ფასილიტაციას ახლავს.
გამომდინარე იქიდან, რომ კონფლიქტური სიტუაცია სკოლაში ხშირად ხდება, **ფოთში** ახალგაზრდებთან ჩატარებულ ვორკშოპზე მონაწილეებს გაუჩნდათ იდეა, ამ თემაზე საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარონ სხვა კლასებშიც. შემდეგ შექმნან მედიატორთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნება ორი პედაგოგი, სკოლის მანდატური და 4 მოსწავლე.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრმა წარმოდგენები გამართა ხონში, დევნილთა კოლექტიურ ცენტრში და სენაკის მე-7 სკოლაში. განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს სენაკში. მათი ჩართულობა იმდენად მაღალი იყო, რომ ოჯახური კონფლიქტების მოგვარების სხვადასხვა ვერსია შეიქმნა. წარმოდგენებს სკოლის დირექტორიც დაესწრო. მან აღნიშნა, რომ სკოლას აქვს ფორუმ-თეატრის მუშაობის გამოცდილება, რომელიც წლების წინ ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით შეიქმნა. არსებობს რესურსი იმისა, რომ ეს ფორმატი მათ სკოლაში ისევ დაინერგოს.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის კვლევები

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ხონსა და სენაკში ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებთან.

მოპოვებული ინფორმაციით ცხადი გახდა, რომ მათ ხშირი შეხება აქვთ ოჯახში ძალადობის პრობლემასთან და შეძლებისდაგვარად უწევთ რეაგირება, თუმცა ყველაზე ხშირად არ გააჩნიათ საამისო კომპეტენცია და რესურსები, რადგან ოფიციალურად მათ უფლებებში არ შედის ძალადობის ფაქტებზე რეაგირება. ეს უკვე პატრულის მოვალეობაში გადავიდა.

გამოიკვეთა, რომ ძალიან ხშირად არა აქვთ ინფორმაცია არსებულ მექანიზმებზე და ბოლომდე ვერ აცნობიერებენ, რა კუთხით უნდა იყოს ჩაერთონ პრობლემის მოგვარებაში. აქვთ სერიოზული გამოცდილება, რომელიც კონფლიქტურ ოჯახებთან მუშაობას და მედიატორობას გულისხმობს. მათი რეკომენდაციით, ეს მეთოდი მეტად უნდა იყოს გამოყენებული, რადგან ყველა სოფელში მოიძებნება ავტორიტეტული ფიგურები, რომელთაც უფრო მეტად შეუძლიათ კონფლიქტების მოგვარება, ვიდრე გამოძახებულ პატრულს. ამიტომ ეს უფლებამოსილება მათ კანონით უნდა განესაზღვროთ.

ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციისა და უფლებამოსილების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს მათთან კონსულტაციით და იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელიც ადგილებზე, განსაკუთრებით პერიფერიებში - ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს.

საინფორმაციო აქციები - ძალადობის წინააღმდეგ

ქალთა მხარდაჭერის ცენტრები აქტიურად გამოეხმაურნენ სიყვარულის საერთაშორისო დღეს. „სიყვარული ძალადობის გარეშე“ - ამ სლოგანით აქციები ექვსივე ქალაქში გაიმართა. მონაწილეებმა სხვადასხვა ფორმით გამოხატეს პროტესტი ძალადობის მიმართ და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს არაძალადობრივი საზოგადოების შექმნის აუცილებლობა. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ასეთი აქციები საზოგადოებას არ მისცემს მოდუნების საშუალებას და ხელს შეუწყობს არაძალადობრივი გარემოს შექმნას.